TOYOTA
ტოიოტა ცენტრი თბილისი
TOYOTA CENTER TBILISI

დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-20კმ.
თბილისი 0131, საქართველო
ტელ: +995 032 2 52 02 22; 032 2 511
ფაქსი: +995 32 2 53 05 31
ელ-ფოსტა: info@toyota-tbilisi.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს ,,ტოიოტა ცენტრი თბილისი'' ახორციელებს მისი ძირითადი საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების (ნამუშევარი ზეთები) ენერგიის წყაროდ (სითბო) აღდგენას და აღნიშნული სახიფათო ნარჩენის, რომლის რაოდენობა აღემატება 10 ტონას, ობიექტზე დროებით განთავსებას. ობიექტი მდებარეობს ქ. ქობულეთში, მემედ აბაშიძის პირველი შესახევევი №2.

კომპანიამ, ნამუშევარი ზეთების გათბობის საშუალებად გამოყენება (ნარჩენების აღდგენა) დაიწყო 2015 წლის პირველ ივნისამდე. ამიტომ, ზემოაღნიშნული საქმიანობა საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 47-ე მუხლისა და ,,ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 ოქტომბრის №2-827 ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად ექვემდებარება ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის მომზადებასა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ სამინისტროს გადაწყვეტილების მიღებას.

აქედან გამომდინარე, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშს, რომელიც კანონით დადგენილი სხვა საკითხების გარდა, ასევე მოიცავს მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების/შერბილების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკს და ტექნოლოგიური ციკლის სრულ სქემას.

დანართი - 1) ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში, 1 ეგზ.

2) ანგარიშის ელექტრონული ვერსია და Shape ფაილები CD დისკზე;

3) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

პატივისცემით

ოთარ ბურჩიანი

დირექტორი

№ 7903
30 05 2019
1/3